ისინი რომ შიგნით შესულიყვნენ (ცეცხლში), აღდგომის დღემდე აღარ გამოვიდოდნენ იქიდან. მორჩილება (მეთაურისადმი) მხოლოდ სიკეთეშია

გადმოცემულია 'ალისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაგზავნა სამხედრო რაზმი და მათ მეთაურად ერთი ანსარი დანიშნა. მან უბრძანა, რომ დამორჩილებოდნენ მას. (ერთხელ) იგი გაბრაზდა და თქვა: — ნუთუ არ გიბრძანათ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ დამემორჩილოთ? მათ უთხრეს: — კი. მან თქვა: — მოაგროვეთ ჩემთვის შეშა. მოაგროვეს. მან თქვა: —დაანთეთ ცეცხლი. დაანთეს. მან თქვა: — შედით მასში! ისინი უკვე აპირებდნენ შესვლას, მაგრამ ზოგიერთმა დაიწყეს სხვების შეკავება და თქვეს: — ჩვენ ხომ მოციქულისკენ (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გავიქეცით ცეცხლიდან! ასე გაგრძელდა, სანამ ცეცხლი ჩაქრა და მისი რისხვა დაცხრა. როდესაც ეს ამბავი მიუტანეს მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), მან თქვა: «ისინი რომ შიგნით შესულიყვნენ (ცეცხლში), აღდგომის დღემდე აღარ გამოვიდოდნენ იქიდან. მორჩილება (მეთაურისადმი) მხოლოდ სიკეთეშია».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაგზავნა სამხედრო რაზმი და მათ მეთაურად დანიშნა ანსარებიდან ერთ-ერთი, და უბრძანა მათ მასზე მორჩილება, (ერთხელ) მეთაური მათზე გაბრაზდა და უთხრა: ნუთუ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩემზე მორჩილება არ უბრძანებია თქვენთვის? მათ თქვეს: რა თქმა უნდა, თქვა: მე თქვენ გიბრძანებთ შეაგროვოთ შეშა, დაანთოდ ცეცხლი და შემდეგ შეხვიდეთ იმ ცეცხლში, მათ შეაგროვეს შეშა, დაანთეს ცეცხლი და როდესაც მასში შესვლა გადაწყვიტეს შეჩერდნენ და ერთმანეთის ყურება დაიწყეს. თქვეს: ჩვენ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იმიტომ გავყევით, რომ ცეცხლისგან გადავრჩეთ, და ახლა შევიდეთ მასში? ამ გაურკვევლობაში იმყოფებოდნენ ისინი, როდესაც ცეცხლის მძვინვარება ჩაქრა და მათი მეთაურის სიბრაზეც გაქრა. ეს ყველაფერი შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უამბეს, მან კი თქვა: მას რომ დამორჩილებოდნენ და შესულიყვნენ იმ ცეცხლში, რომელიც მათ დაანთეს, იქ ეწამებოდნენ და ვეღარ გამოვიდოდნენ იქიდან სამყაროს აღსასრულამდე, არ არის მორჩილება ქმნილებაზე გამჩენის სიურჩეში; არამედ, მორჩილება სავალდებულოა სიკეთეში და არა ცოდვაში.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66184